ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №521651

ნომერი: AR1105638

თარიღი : 28.01.2013

გაცემის თარიღი : 28.01.2013

გაცნობის თარიღი : 29.01.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბერუჩა ლუხუტაშვილი პ/ნ 01001022313
- თბილისი გლდანი I მ/რ კორ. 2 ბ. 114

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. N2–ში მდებარე შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო არ შეესაბამება სამსახურის მიერ 06.07.12 წლის NAR155873 განაცხადის საფუძველზე 20.08.12 წლის №317150 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას (კერძოდ დეკორატიული შესასვლელი შეცვლილია, უფრო სადა და გამარტივებული, ასევე შეცვლილია ვიტრაჟის დანაწევრება).

იმ შემთხვევაში, თუ იცვლება სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტი, საჭიროა მოხდეს პროექტის კორექტირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge